საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგი

2019

I კვარტალი

04.06.2019

www.geostat.ge

04.06.2019

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2019 წლის I კვარტალი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2019 წლის I კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 27.5 პროცენტით გაიზარდა და 22.9 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2019 წლის I კვარტალში მისი მოცულობა 9.5 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 9.0 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობის ცვლილება კვარტლების მიხედვით



2019 წლის I კვარტალში მთლიანი ბრუნვის 54.5 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 17.4 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 28.1 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 41.3 პროცენტი, საშუალოზე - 24.8 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 33.9 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2019 წლის I კვარტალი



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2019 წლის I კვარტალში 14.4 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13.3 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 8.8 მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.7 პროცენტით მეტი).

2019 წლის I კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 663.8 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 4.2 პროცენტით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 42.3 პროცენტი ქალია, ხოლო 57.7 პროცენტი - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 36.9 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 20.6 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 42.5 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 619.4 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 2.6 პროცენტით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 2 183.5 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8.3 პროცენტით მეტი).

2019 წლის I კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 151.9 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 45.5 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 934.2 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 93.1 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 1 205.6 ლარი,
- საშუალო ბიზნესი – 1 291.2 ლარი,
- მცირე ბიზნესი – 1 017.0ლარი.

2019 წლის I კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 39.8 პროცენტი მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 23.9 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 9.1 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 5.7 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 5.7 პროცენტიანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 4.3 პროცენტიანი წილით, ხოლო დარჩენილი 11.4 პროცენტი კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა, 2019 წელი I კვარტალი



2019 წლის I კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (21.4 პროცენტი) და ვაჭრობა (17.2 პროცენტი), შემდეგ მოდის მშენებლობა (14.7 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 9.8 პროცენტიანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 36.9 პროცენტიანი წილი უჭირავს:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის სტრუქტურა, 2019 წელი I კვარტალი



2019 წლის I კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 26.6 პროცენტი, 12.6 პროცენტი და 10.6 პროცენტიანი წილებით). თუმცა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის მშენებლობის (9.0 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.3 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (5.6 პროცენტი):

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2019 წლის I კვარტალი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



04.06.2019

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვალებადობა 2019 წლის I კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2018 წლის I კვარტალი	2019 წლის I კვარტალი	2019 წლის I კვარტლის ზრდის ტემპი 2018 წლის I კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	17,980.2	22,923.2	127.5
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	109.5	103.1	94.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	168.7	159.5	94.6
დამამუშავებელი მრეწველობა	1,967.3	2,078.1	105.6
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	949.3	995.0	104.8
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	59.5	63.7	107.0
მშენებლობა	1,352.8	1,310.7	96.9
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	8,327.0	9,125.1	109.6
ტრანსპორტი და დასაწყობება	1,167.3	1,306.9	112.0
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	367.0	431.1	117.5
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	151.5	178.0	117.5
საკვებით და სასმელებით მომსახურება	215.5	253.0	117.4
ინფორმაცია და კომუნიკაცია	390.7	425.5	108.9
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	278.0	336.8	121.1
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	293.8	388.4	132.2
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	220.7	276.0	125.0
განათლება	97.5	111.1	114.0
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	260.5	288.1	110.6
ხელოვნება, გართობა და დასვენება	1,935.7	5,487.8	283.5
სხვა სახის მომსახურება	35.0	36.3	103.6

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობას 2019 წლის I კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2018 წლის I კვარტალი	2019 წლის I კვარტალი	2019 წლის I კვარტლის ზრდის ტემპი 2018 წლის I კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	8,692.2	9,471.4	109.0
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	111.9	111.4	99.5
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	168.6	161.1	95.6
დამამუშავებელი მრეწველობა	1,907.3	2,023.0	106.1
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	420.3	447.3	106.4
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	67.8	71.4	105.4
მშენებლობა	1,454.6	1,394.0	95.8
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	1,495.9	1,629.3	108.9
ტრანსპორტი და დასაწყობება	834.5	932.8	111.8
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	368.0	431.2	117.2
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	152.4	178.5	117.1
საკვებით და სასმელებით მომსახურება	215.6	252.7	117.2
ინფორმაცია და კომუნიკაცია	338.5	392.8	116.1
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	279.3	337.2	120.7
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	257.8	341.9	132.6
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	156.5	199.5	127.5
განათლება	102.2	115.5	113.0
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	412.7	481.7	116.7
ხელოვნება, გართობა და დასვენება	282.1	365.8	129.7
სხვა სახის მომსახურება	34.3	35.3	103.2

04.06.2019

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალებადობა 2019 წლის I კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE rev. 2	2018 წლის I კვარტალი	2019 წლის I კვარტალი	2019 წლის I კვარტლის ზრდის ტემპი 2018 წლის I კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	637,047	663,804	104.2
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	11,377	11,010	96.8
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	8,228	8,359	101.6
დამამუშავებელი მრეწველობა	83,321	83,813	100.6
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	14,793	14,876	100.6
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14,335	14,213	99.1
მშენებლობა	63,837	59,662	93.5
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	163,229	176,898	108.4
ტრანსპორტი და დასაწყობება	53,021	55,060	103.8
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	33,911	37,144	109.5
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	12,747	14,265	111.9
საკვებით და სასმელებით მომსახურება	21,164	22,879	108.1
ინფორმაცია და კომუნიკაცია	19,132	21,336	111.5
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	17,256	18,742	108.6
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	20,728	22,388	108.0
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	20,990	22,282	106.2
განათლება	23,603	24,111	102.2
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	67,398	70,140	104.1
ხელოვნება, გართობა და დასვენება	13,775	15,517	112.6
სხვა სახის მომსახურება	8,113	8,254	101.7

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 77.4 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 6.0 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 5.1 პროცენტი,
- იმერეთი – 3.6 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.6 პროცენტი

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 65.1 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 8.4 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 9.2 პროცენტი,
- იმერეთი – 5.0 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.8 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას:



რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 64.6 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 9.9 პროცენტი,
- იმერეთი – 6.8 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 5.5 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.0 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:
   - საქმიანობის სექტორები K, O, T, U
   - 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)
2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:
   - ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
   - ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2. შპს „საქართველოს ფოსტა“
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
4. სს „სილქნეტი“
5. სს „საქართველოს რკინიგზა“
6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
7. სს „საქენერგორემონტი“
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

რელიზში გამოყენებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების შემდეგი კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2)

სექციების დასახელებები

A	**„სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა“**
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
I	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა;სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება, გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური)

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge